სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 227

2022 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურში დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენის წესის დამტკიცების შესახებ

„გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1621878, 19.12.2022) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურში დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ერეკლე ასტახიშვილი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2022 წლის 19 დეკემბრის N-227- ბრძანებით

2022 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურში დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენის წესი

1. საბოლოო ქულის დაანგარიშების წესი

კონკურსში მონაწილე საუკეთესო პროექტების გამოვლენა და დასაფინანსებლად შერჩევა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების“ პირველი დანართის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და მეორე დანართის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

2. კონკურსის ბიუჯეტის გადანაწინება კვლევის პროგრამების მიხედვით

კონკურსის ბიუჯეტის გადანაწილება კვლევის პროგრამების მიხედვით განხორციელდეს თითოეული კვლევის პროგრამაში მონაწილე იმ პროექტების რაოდენობის პროპორციულად, რომლებმაც შეფასების ორივე ეტაპზე მიიღეს ჯამურად 36 ან მეტი ქულა *(იხ. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების“ დანართი 2)* , ამავდროულად გათვალისწინებულ უნდა იქნეს თითოეული კვლევის პროგრამის ფარგლებში არსებული ფინანსური შეზღუდვები (*იხ. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 2 აგვისტოს № 146 ბრძანებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პროგრამა და პირობები“, მუხლი 2, პუნქტები 4, 5; მუხლი 3, პუნქტები 4, 5; მუხლი 4, პუქტები 4, 5).*

ამრიგად, **კონცეფციის დამტკიცების კვლევის პროგრამისათვის** ბიუჯეტი B_1 განისაზღვროს ფორმულით:

$$B_1 = B\frac{3n_1}{3n_1+4n_2+6n_3};$$

საპილოტე კვლევის პროგრამისათვის ბიუჯეტი B_2 განისაზღვროს ფორმულით:

$$B_2 = B\frac{4n_2}{3n_1+4n_2+6n_3};$$

დანერგვითი კვლევის პროგრამისათვის ბიუჯეტი B_3 განისაზღვროს ფორმულით:

$$B_3 = B\frac{6n_3}{3n_1+4n_2+6n_3},$$

სადაც, n_1, n_2, n_3 არიან შესაბამისად კონცეფციის დამტკიცების კვლევის პროგრამის, საპილოტე კვლევის პროგრამისა და დანერგვითი კვლევის პროგრამის ფარგლებში მონაწილე პროექტების რაოდენობები, რომლებმაც შეფასების ორივე ეტაპზე მიიღეს ჯამურად 36 ან მეტი ქულა, ხოლო B არის კონკურსის ბიუჯეტი.

3. გამარჯვებული პროექტების გამოვლენის წესი

თითოეულ კვლევის პროგრამაში ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სიები. თითოეულ კვლევის პროგრამაში ფინანსდება მხოლოდ ის პროექტები, რომლებმაც შეფასების ორივე ეტაპზე მიიღეს ჯამურად 36 ან მეტი ქულა შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ), სანამ კვლევის პროგრამის ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშულებას.

r_1-ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება კონცეფციის დამტკიცების კვლევის პროგრამაში ნაშთის სახით, r_2-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება საპილოტე კვლევის პროგრამაში ნაშთის სახით, r_3-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება დანერგვითი კვლევის პროგრამაში ნაშთის სახით.

$$R = r_1 + r_2 + r_3 .$$

სადაც R არის სამივე კვლევის პროგრამაში ნაშთების სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

R თანხა ნაწილდება კვლევის პროგრამების გაუთვალისწინებლად შედგენილ ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით დაფინანსების გარეშე დარჩენილ პროექტებს შორის, (ზევიდან ქვევით), რომლებმაც შეფასების ორივე ეტაპზე მიიღეს ჯამურად 36 ან მეტი ქულა.

ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.